



კვლევა 2: რა სირთულეებს აწყდებიან სოციალურად არათნაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეები და სტუდენტები საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის შემსწავლელ პროგრამებში მონაწილეობისას

სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტები

სოციალურად არათანაბარი პირობების განსაზღვრა კვლევის ფარგლებში

- ეთნიკური უმცირესობები (სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობა)-მოსახლეობის დაახლოებით **10-12%** არაქართულენოვანია
- დაბალი შემოსავალი (მოსწავლეები, რომელთა ოჯახებს მიენიჭათ 70 000 ჟულაზე ნაკლები სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ)-**25%** იდენტიფიცირებულია ღარიბად, რომელთა **64%** ცხოვრობს სოფლის ტიპის დასახლებებში
- მაღალმთიანი ზონები –დაახლოებით 7-8% ცხოვრობს მაღალმთიან ზონაში
- სხვები - იძულებით გაადადგილებული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა

ძირითადი დასკვნები

1. სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეები ამთავრებენ სკოლას ნაკლები STEM უნარ-ჩვევებით, ვიდრე სოციალურად თანაბარ პირობებში მყოფები
2. რაოდენობა და ხარისხი იმ სკოლებისა, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისთვის ნაკლებია იმ სკოლებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალურად თანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისთვის
3. სიღარიბე, მშობლები და კულტურა მნიშვნელოვანად განსაზღვრავს სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების სკოლის დამთავრებისას მიღებულ შედეგებს
4. შედარებით ნაკლები არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლე აგრძელებს საშუალო განათლების შემდგომ განათლებას
5. საქართველოს მთავრობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რათა გაუმჯობესებულიყო განათლება სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის, თუმცა შესაძლებელია მეტი აქტივობა
6. დამსაქმებლებს ძალიან მწირი გამოცდილება აქვთ სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების დასაქმების და მათთვის სპეციალური ხელისშემწყობი პროგრამების განვითარებაში

მესიჯი 1: სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეები უფრო დაბალი STEM უნარ-ჩვევებით ამთავრებენ სკოლას, ვიდრე სოციალურად თანაბარ პირობებში მყოფები

- **CAT – 2011 წელი მე-12 კლასი**
- **CAT – 2012 წელი მე-12 კლასი**
- **ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2009-2012 წლები**


საშუალო CAT შედეგები STEM საგნებში ეთნიკური უმცირესობისა და სხვებისთვის 2011-2012 წლებში

წელი	ჯგუფი	მათემატიკა	ბიოლოგია	ქიმია	ფიზიკა	გეოგრაფია
2011	ეთნიკური უმცირესობები	6.06	5.85	6.56	5.81	6.77
	სხვები	6.36	6.69	6.83	6.5	7.15
2012	ეთნიკური უმცირესობები	6.4	6.21	6.85	5.83	7.09
	სხვები	6.92	6.71	7.2	6.67	7.31


ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგონები ბიჭებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ თითქმის ყველა CAT STEM საგანში

ტესტირების ქულები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში

2011 წელი



2012 წელი




მოსწავლეებს დაბალ შემოსავლიანი ოჯახებიდან უფრო დაბალი შედეგები აქვთ არა-დაბალ შემოსავლიანებთან შედარებით ყველა CAT STEM საგანში

საშუალო CAT ქულები STEM საგნებში 2011-2012 წლებში


2011 წელი

- დაბალ შემოსავლიანი ოჯახი
- არა დაბალ შემოსავლიანი ოჯახი



2012 წელი

- დაბალ შემოსავლიანი ოჯახი




გოგონები დაბალ შემოსავლიანი ოჯახებიდან ჯობნიან ბიჭებს CAT STEM საგნებში

გოგონები დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან უკეთეს შედეგებს აჩვენებენ ბიჭებთან შედარებით CAT STEM საგნებში


2011 წელი

- დაბალ შემოსავლიანი ოჯახი
- არა დაბალ შემოსავლიანი ოჯახი



2012 წელი

- დაბალ შემოსავლიანი ოჯახი



CAT საშუალო შედეგები STEM საგნებში მაღალმთიანი მაცხოვრებლებისა და სხვების მიხედვით 2011-2012 წლებში

წელი	ჯგუფი	მათემატიკა	ბიოლოგია	ქიმია	ფიზიკა	გეოგრაფია
2011	მთის მოსახლე	6.31	6.53	6.78	6.37	7.07
	სხვები	6.86	7.12	7.22	6.93	7.55
2012	მთის მოსახლე	6.76	6.55	7.08	6.4	7.24
	სხვები	7.19	7.03	7.41	6.99	7.51

მოსწავლეებს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფიდან უარესი შედეგები აქვთ ზოგად უნარებში სხვა მოსწავლეებთან შედარებით ერთიან ეროვნულ გამოცდებში

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საშუალო ქულები ზოგად უნარებში სხვა ყველა მოსწავლესთან შედარებით 2011-2012 წლებში




ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებს უარესი შედეგები აქვთ STEM საგნებში UEE სხვა მოსწავლეებთან შედარებით ერთიან ეროვნულ გამოცდებში

ეთნიკური უმცირესობისა და სხვების საშუალო ქულები STEM საგნებში ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით

2011 წელი



2012 წელი



სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს STEM საგნები რთულად მიაჩნიათ (ფოკუს–ჯგუფების და რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები)

- სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს მიაჩნიათ მათემატიკა და ფიზიკა ძალიან რთულ საგნებად (გოგონები შედარებით ნაკლებად რთულად მიიჩნევენ ვიდრე ბიჭები)
- მოსწავლეები უკეთ იგებენ და იმახსოვრებენ, როდესაც მასწავლებელი იყენებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს და საბორატორიულ სამუშაოებს
- ზოგიერთი მათგანის განცხადებით სკოლებში არის ლაბორატორიები, თუმცა მასწავლებელი არ იყენებს ამ რესურსს სწავლების პროცესში
- ქართული ენის 1 წლიანი პროგრამა პოპულარულია, თუმცა პროგრამის შემდგომი მონაცემები არ არის სრულად ხელმისაწვდომი

ძირითადი დასკვნა 2: რაოდენობა და ხარისხი იმ სკოლებისა, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისთვის ნაკლებია იმ სკოლებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სოციალურად თანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისთვის

- ხელმისაწვდომობა ზედა/საშუალო კლასებზე
- ინფრასტრუქტურული უთანასწორობა
- მასწავლებელი და სწავლების ხარისხი


სკოლებს ხშირად არ აქვთ ზედა საშუალო კლასები

- დაახლოებით 30% მთის სკოლებისა არ სთავაზობს მოსწავლეებს ზედა საშუალო კლასებს (10-12)
- 25%-ს სასოფლო სკოლებისა არ გააჩნიათ ზედა კლასები, მაშინ როდესაც ქალაქის სკოლებში ეს მაჩვენებელი 5%-ია
- 2/3 აზერბაიჯანული სკოლებისა სთავაზობენ მოსწავლეებს ზედა კლასებს, ხოლო ქართულენოვანი სკოლებისთვის ეს მაჩვენებელი 80%-ია

სასკოლო ინფრასტრუქტურა ხშირად ძალიან მწირია

- ძველი წიგნები, ზოგიერთი რუსულ ენაზე
- პრაქტიკული სწავლების ნაკლებობა – სკოლის მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკული სავარჯიშოები ყველაზე ხშირად გამოიყენება: ფიზიკაში (40,8%), ქიმიაში (49%) და ბიოლოგიაში (32,7%)
- თანამედროვე სწავლების საშუალებების ნაკლებობა, როგორცაა - ლაბორატორიები ან კომპიუტერები – სკოლის მოსწავლეების 42,8% მიიჩნევს, რომ მათი კლასები არ არის აღჭურვილი თანამედროვე აპარატურით, როგორცაა კომპიუტერები, ინტერნეტი და ა.შ. სტუდენტების მხოლოდ 38,1% დაეთანხმა დებულებას, რომ ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სისტემებით. პრაქტიკული სავარჯიშოების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ინფორმატიკას, სტუდენტების მხოლოდ **2%**-ს აქვს ეს გამოცდილება

მასწავლებლისა და სწავლების ხარისხი უფრო დაბალია სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების შემთხვევაში



მასწავლებელთა განწყობები

- გამოკითხული მასწავლებლების 58% თქვა, რომ არ არსებობს არანაირი განსხვავება სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისა და სხვა მოსწავლეების სწავლებას შორის! – გამოკითხულ მასწავლებელთა 76% მიიჩნევს, რომ სოც. არათანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს არ აქვთ ბარიერები წარამტების მისაღწევად. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მასწავლებლებს არ აქვთ ინფორმაცია თუ რა პრობლემებს აწყდებიან სოც. არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტები
- მასწავლებლები აცხადებენ, რომ მშობელთა ჩართულობა სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების განათლებაში შეიძლება უკეთესი იყოს – მასწავლებლების უმეტესობა ფიქრობს, რომ მშობლები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულები სოც. არათანაბარ პირობებში მყოფი ბავშვების განათლებაში

სტუდენტები ფიქრობენ, რომ მასწავლებელი გადამწყვეტია სწავლისას

ციტატები ფოკუსური ჯგუფებიდან:


- “როდესაც მე მიყვარს მასწავლებელი, საგანიც მიყვარს”
- “მე მჯერა როდესაც მასწავლებელი რჩევას მაძლევს. ის ჭკვიანია და ჩემი საყვარელი მასწავლებელია. ის მირჩევს, რომ ჩავაბარო ეკონომიურზე, იმიტომ, რომ კარგად ვსწავლობ მათემატიკას”

პირითადი დასვნა 3: სიღარიბე, მშობლები და კულტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების სკოლის დამთავრებისას მიღებულ შედეგებს

- გამოკითხული სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების 50% იყო ოჯახის გავლენის ქვეშ პროფესიის არჩევისას, თუმცა ფოკუსური ჯგუფის შედეგების მიხედვით ეს ტენდენცია უფრო დომინანტურია
- სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი გოგონა სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა თქვა, რომ არ დაემორჩილება მშობლების გადაწყვეტილებებს, როდესაც მათ სხვა პროფესიის არჩევა სურთ

პირითადი დასკვნა 4. შედარებით ნაკლები არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლე აგრძელებს საშუალო განათლების შემდგომ განათლებას

სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების რაოდენობა, ვინც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები 2011-2012 (განსაზღვრება მოცემულია სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ)



სკოლები ძალიან ცოტა რჩევას აძლევენ მოსწავლეებს კარიერასთან დაკავშირებით

- კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტები იღებენ მეტ მითითებებსა და დახმარებებს კარიერასთან დაკავშირებით ვიდრე სხვები (მაგრამ არა პროფესიული სწავლების მხრივ)

უნივერსიტეტის აპლიკანტების უფრო დიდმა ნაწილმა მიიღო ინფორმაცია სკოლაში სააპლიკაციო პროცესის შესახებ

- უმაღლეს სასწავლებელში და პროფესიულ სასწავლებელში სწავლების მსურველებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა

უმაღლესი საგანმ. დაწესებულება	78.6%
----------------------------------	-------

პროფ. სასწავლებელი	26.2%
-----------------------	-------

უნივერსიტეტის აპლიკანტების უფრო დიდმა ნაწილმა მიიღო ინფორმაცია დაფინანსების შესახებ

- ასევე დიდი სხვაობაა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელში სტიპენდიებზე ინფორმირებულთა შორის
- სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების 52%-მა განაცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ სწავლის გაგრძელება სტიპენდიის გარეშე

უმაღლესი საგანმ. დაწესებულება	85.7%
პროფ. სასწავლებელი	14.3%

ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ მცირე ნაწილმა ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა პირდაპირ აკადემიურ ან/და პროფესიულ პროგრამაზე


	წელი	სიხშირე	პროცენტი
2011	ვერ გადალახა	172	29.0
	აკადემიური პროგრამა	27	4.5
	ქართულ ენაში მომზადება	380	64.0
	პროფესიული პროგრამა	15	2.5
	სულ	594	100.0
2012	ვერ გადალახა	201	27.8
	აკადემიური პროგრამა	22	3.0
	ქართულ ენაში მომზადება	499	69.1
	პროფესიული პროგრამა	0	0
	სულ	722	100.0

პირითადი დასკვნა 5: საქართველოს მთავრობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რათა გაუმჯობესებულიყო განათლების პირობები სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის, თუმცა საჭიროა უფრო მეტი აქტივობა

- **სკოლის შენობების გარემონტება/აღდგენა – ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს მთავრობისა და MCC–ს მხარდაჭერით**
- **ქართული ენის შემსწავლელი ერთწლიანი გაძლიერებული პროგრამა**
- **დაფინანსება უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლებისთვის**


ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაში ჩართული ეთნიკური უმცირესობები

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისთვის დარეგისტრირებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აპლიკანტების დაახლოებით 2/3 ჩართულია ქართული ენის მომზადების პროგრამაში



ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაში ჩართული სტუდენტების მხოლოდ 20% აგრძელებს სწავლას საუნივერსიტეტო პროგრამებზე

პროფესიები ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი (ბრიჯინგის) პროგრამის შემდეგ



მთავრობა აფინანსებს როგორც უნივერსიტეტების, ასევე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს

- იმ აპლიკანტებს შორის, ვინც სოციალურად არათანაბარ პირობებში ყოფნის გამო მოითხოვა დაფინანსება, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ დაბალშემოსავლიანი ოჯახის წარმომადგენლებს: 42% 2009 წელს, 44.9% 2010 წელს, 37.2% 2011 წელს და 43.9% 2012 წელს.
- დაბალშემოსავლიანი ოჯახების დაფინანსების პროცენტი არის 8.5% 2009 წელს, 52.3% 2010 წელს, 18.7% 2011 წელს და 16.7% 2012 წელს.
- დაბალშემოსავლიანი ოჯახების დაფინანსების მაჩვენებელი წლების მიხედვით ყველაზე მაღალი არის 2010 წელს.

დაფინანსება მნიშვნელოვანია სოციალურად არათანაბრ პირობებში მყოფი სტუდენტებისათვის

სოციალურად არათანაბრ პირობებში მყოფი სტუდენტების 52%-მა განაცხადა, რომ ვერ შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას ამ დაფინანსების გარეშე .

სხვა სპეციალური ძალისხმევაა საჭირო, რადგან:

- პროფესიული სასწავლებლების მხოლოდ 1/3 გააჩნია სპეციალური პროგრამა სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის (გარდა სტიპენდიის პროგრამისა, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს)
- არცერთი უნივერსიტეტის STEM ფაკულტეტს არ გააჩნია სპეციალური დახმარების პროგრამა - გარდა სტიპენდიებისა
- უნივერსიტეტების STEM ფაკულტეტის წევრების 1/4-მა განაცხადა, რომ მათ აქვთ დაფინანსება სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის

პირითადი დასკვნა 6: დამსაქმებლებს ძალიან მწირი გამოცდილება აქვთ სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების დასაქმებასა და მათთვის სპეციალური ხელისშემწყობი პროგრამების განვითარებაში

- სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ არ იქნება რაიმე სახის დისკრიმინაცია დასაქმების საკითხებში
- დამსაქმებლებს არ გააჩნიათ სპეციალური პროგრამები სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის, ვერც ხედავენ ამის საჭიროებას და არც იციან, თუ როგორ უნდა განახორციელონ ისინი

რეკომენდაცია: ორგანიზებული გეგმა, რომლის მიხედვით სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფ სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ისწავლონ ისეთივე პირობებში, როგორც სხვა სტუდენტები

- ნათელი იდენტიფიკაცია იმ პრობლემებისა, რომლებსაც ეხებიან სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეები STEM საგნებში
- მასწავლებელთა ტრენინგის პროგრამა, რომელიც მათ უფრო გათვითცნობიერებულს გახდის შესაბამის საკითხებში და მიმართულებებში
- დამატებითი აქტივობების განსაზღვრა სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეებისთვის, რათა გაუმჯობესდეს STEM საგნების სწავლების ხარისხი
- გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება სასკოლო ინფრასტრუქტურის განახლება დროთა განმავლობაში (ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) და სწავლების პროცესში შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა
- ინფორმაციის გავრცელება სტიპენდიებთან დაკავშირებით ყველა ზონაში, რომელიც მოწოდებული იქნება ორგანიზებულად
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ესაჭიროებათ უფრო მეტი დახმარება ქართული ენის შესწავლის კუთხით
- გაუმჯობესდეს სკოლის როლი მოსწავლეების მიერ პროფესიის არჩევის საკითხებთან დაკავშირებით (კარიერული დაგეგმვა) (იხილეთ კვლევა 3)
- სპეციალური პროგრამების დანერგვა პროფ. სასწავლებლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტებისთვის
- სპეციალური მიდგომის შემუშავება დამსაქმებლებისთვის, სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების მიმართ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით
- გაუმჯობესდეს მონაცემთა ბაზები სოციალურად არათანაბარ პირობებში მყოფი სტუდენტების შესახებ
- ზოგადად STEM პროფესიებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების ზრდა საზოგადოებრივი კომუნიკაციების საშუალებებით